6346/3-120/21 2 23062021

6346/3-120/21
23-06-2021

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად მოგმართავთ საქართველოს პარლამენტის წევრის კითხვით:

როგორც ჩემთვის ცნობილია 2021 წლის 24 თებერვალს პალაუს რესპუბლიკის დროშის ქვეშ მცურავ გემზე ესპანელმა სამართალდამცავებმა დააკავეს საქართველოს ოთხი მოქალაქე, ესენი არიან: ნუკრი გოგიტიძე, სულიკო ბერიძე, დანიელ ცეცხლაძე და ლაშა ცეცხლაძე.

- რა ღონისძიებები გაატარა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს მოქალაქეების უფლებების დასაცავად? აგრეთვე, რას გეგმავს სამინისტრო მომავალში დაკავებულთა კანონიერი ინტერესების დასაცავად?
- დაუნიშნა თუ არა საქართველოს სახელმწიფომ მათ ადვოკატები?
- დღეის მდგომარეობით, როგორია საქართველოს დაკავებული მოქალაქეების მდგომარეობა?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მამუკა ხაზარაძე

საქართველო

18915-01-2-202107081550

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/18915
08/07/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ მამუკა ხაზარაძეს

ბატონო მამუკა,

მიმდინარე წლის 23 ივნისის N 6346/3-120/21 წერილის პასუხად, ესპანეთის სამეფოში დაკავებული ქართველი მეზღვაურების - ნუკრი გოგიტიძის, სულიკო ბერიძის, დანიელ ცეცხლაძის და ლაშა ცეცხლაძის საკითხთან დაკავშირებით, გაცნობებთ შემდეგს:

2021 წლის 23 თებერვალს, ესპანურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, ქალაქ რიბადეოს სანაპიროს მიმდებარედ, პალაუს რესპუბლიკის დროშის ქვეშ მცურავ გემის NAHIR ჩაძირვის შესახებ. ინფორმაციის თანახმად, გემზე მყოფმა მეზღვაურებმა აღნიშნული ხომალდი გამიზნულად ჩაძირეს. ხომალდზე იმყოფებოდა საქართველოს ოთხი და თურქეთის ხუთი მოქალაქე. ესპანეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა საქართველოს საელჩოს დაუდასტურეს, ქართველი მეზღვაურების დაკავების ფაქტი ქალაქ ვიგოს პოლიციის კომისარიატში.

ესპანეთის ეროვნული აუდიენციის ცენტრალურმა ინსტრუქციულმა N1 სასამართლომ, აღმკვეთი ღონისძიების სახით, მეზღვაურებს შეუფარდა პატიმრობა. პროცესის განმავლობაში, მეზღვაურები უზრუნველყოფილი იყვნენ ქართულ ენოვანი თარჯიმნით, ასევე სახაზინო ადვოკატების მომსახურებით. საელჩო მუდმივ კონტაქტზე იმყოფება დაკავებულების ოჯახის წევრებთან და ადვოკატებთან. ადვოკატების საკონტაქტო მონაცემები მიეწოდათ დაკავებულების ოჯახის წევრებს.

მიმდინარე წლის 14 მაისს, საელჩოს წარმომადგენელმა სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოინახულა მეზღვაური - დანიელ ცეცხლაძე. ხოლო 9 ივნისს, ქ. ვალდემოროს სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მყოფი - სულიკო ბერიძე. ვიზიტი განხორციელდა ადვოკატების თანხლებით. მეზღვაურების ჯანმრთელობის მდგომარეობა და საპატიმრო პირობები დამაკმაყოფილებელია.

შეხვედრის დროს განხილული იქნა ბრალდებულების საქმესთან დაკავშირებული დეტალები, მათ შორის, სისხლის სამართლის პროცესის შემდეგი ეტაპები. მეზღვაურებს საშუალება ჰქონდათ გაერკვიათ მათთვის საინტერესო საკითხები და კითხვები დაესვათ სამართლებრივი პროცესის მიმდინარეობის შესახებ. დაკავებულებს სატელეფონო კავშირი აქვთ ოჯახის წევრებთან. ადვოკატებთან კონსულტაციის შედეგად გაირკვა, რომ საქმის მასშტაბიდან გამომდინარე, ახლო პერიოდში არ არის მოსალოდნელი გამოძიების დასრულება. შესაბამისად, სასამართლო სხდომის გამართვის თარიღი, ამ ეტაპზე არ არის ცნობილი. ესპანეთის სამეფოს კანონმდებლობის შესაბამისად, ზოგადად, გამოძიება შესაძლოა მიმდინარეობდეს ორ წლამდე და განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში, ვადა დამატებით გახანგრძლივდეს ორი წლით.

ესპანეთის სამეფოში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა, კომპეტენციის ფარგლებში აგრძელებს საკითხზე მუშაობას, მეზღვაურებს მიეწოდათ, ესპანეთში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლის პირადი მობილური ტელეფონის ნომერი, რომლებსაც საჭიროებიდან გამომდინარე შეუძლიათ დაკავშირება.

პატივისცემით,
კონსტანტინე საბიაშვილი



დეპარტამენტის დირექტორი - მ.შ.
საკონსულო დეპარტამენტი